



N 04/297  
30/05/2023

## ბრძანება

297-01-4-202305301705



### გადაწყვეტილება

2023 წლის 21 თებერვლის №01/635 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე  
უარის თქმის შესახებ

#### 1. პროცედურული და ფაქტობრივი გარემოებები

##### 1.1 მომჩივანის პოზიცია

2023 წლის 21 თებერვალს საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოში (შემდგომში - სააგენტო) წარმოგენილ იქნა ინდ. მეწარმე ვიქტორ სუროგინის (ს/ნ: 329326304) საჩივარი (რეგ. №01/635), შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპის“ (ს/ნ: 405198986) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 (დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება) და 11<sup>3</sup> (ეკონომიკური აგენტების არაკეთილსინდისიერი ქმედებების აკრძალვა) მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

საქმის მასალების მიხედვით, მომჩივან ვიქტორ სუროგინსა და შპს „რვრ-სკის“ (ს/ნ: 405106157) შორის 2017 წლის 23 იანვარს გაფორმდა ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, ხოლო 2019 წლის 4 ივლისს - ნასყიდობის ხელშეკრულება დუშეთის რაიონის სოფელ კაიშაურებში „მთა ვარცლას“ მიმდებარედ მრავალფუნქციურ კომპლექსში ბინის (ს/კ: 71.62.58.019) საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღნიშნულ აპარტამენტს მომჩივანი იყენებს მესამე პირებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემის მიზნით, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, შპს „რვრ-სკის“ (ს/ნ: 405106157) მიერ მიმდინარეობდა დუშეთის რაიონში, სოფელ კაიშაურებში, „მთა ვარცლაზე“, ე.წ. ახალ გუდაურები კორპუსების მშენებლობა და შემდგომში რეალიზაცია.

საჩივარში აღნიშნულია, რომ ახალ გუდაურები აპარტამენტების მფლობელებს არ აქვთ გაზის ჩართვის შესაძლებლობა. კორპუსში შეყვანილია წყლის (ცივი, ცხელი და გათბობის) მილები, რომლებიც ეკუთვნის მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს, ვინაიდან მოპასუხეს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მშენებელ კომპანიასთან და ორგანიზებას. უწევს სხვადასხვა კომუნალური სერვისების ცენტრალიზებულად მიწოდებას. გამომდინარე აქედან, მომჩივანის პოზიციით, ზემოთ ხსენებული სერვისის ერთადერთი



შესაძლო მიმწოდებელი არის მოპასუხე, რომელიც ვერ ჩანაცვლდება სხვა მიმწოდებლით და ამდენად, შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპს“ (ს/ნ: 405198986) უკავია დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე.

საჩივრის თანახმად, 2019 წლის ზაფხულში, მომზივანმა მიმართა მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს კომუნალური მომსახურების გაწევის თაობაზე (ცივი და ცხელი წყლის მიწოდება; გათბობა; სახლის საერთო ფართების შენახვა და რემონტი; კანალიზაცია) საჯარო ხელშეკრულების გაფორმებაზე მოპასუხემ განაცხადა უარი ყოველგვარი წერილობითი დასაბუთების გარეშე, რითაც მომზივანის აზრით დაირღვა „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი.

მომზივანის პოზიციით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლი კრძალავს ამგვარ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, რადგან ზემოთ ხსენებული მომსახურების მიღება შესაძლებელია მხოლოდ მოპასუხე ეკონომიკური აგენტისგან.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2020 წლის 6 მარტს მომზივანს მიმართეს კლიენტებმა და შეატყობინეს, რომ მათ აპარტამენტს არ მიეწოდებოდა წყალი და გათბობა. მომზივანის პოზიციით, იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ბინებში არ მომხდარა კომუნალური მომსახურების შეწყვეტა, მოპასუხე არღვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლს.

საჩივრის თანახმად, შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპი“ ანაზღაურების სანაცვლოდ, მოკლე ვადით ახორციელებს აპარტამენტების გაქირავებას. შესაბამისად, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, იგი წარმოადგენს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს. იმის გათვალისწინებით, რომ მოპასუხე წარმოადგენს კონკურენტ ეკონომიკურ აგენტს, მისი თანამშრომლის მიერ საუბრის მცდელობა მომზივანის კლიენტთან და აგრეთვე წყლის და გათბობის დემონსტრაციული გამორთვა წარმოადგენს მოპასუხის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვას, მის დისკრედიტაციას, რაც მომზივანის პოზიციით არის არაკეთილსინდისიერი კონკურენცია და სახეზეა აგრეთვე „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი.

საჩივარში აღნიშნულია, რომ 2021 წლის მარტში, მიუხედავად იმისა, რომ წყლის მომარაგების ონვანები გახსნილი იყო, აპარტამენტს წყალი არ მიეწოდებოდა. სპეციალური ინსტრუმენტების გამოყენებით, აპარტამენტისკენ მიმავალი წყალმომარაგების მიღების შესწავლისას აღმოჩნდა, რომ ისინი დახშული იყო პლასტიკური საცობებით.

საჩივრის თანახმად 2022 წლის დეკემბრამდე მსგავს ინციდენტებს ადგილი არ ჰქონია. შემდეგ ისევ განახლდა, თუმცა მათი შესწავლა, მტკიცებულებების შეგროვება და განცხადების დაწერა დროს მოითხოვს.

სააგენტოს 2023 წლის 16 მარტისა №02/752 და 3 აპრილის №02/879 წერილებით მომზივანს ეთხოვა საჩივარში მითითებული აპარტამენტის საკუთრების

დამადასტურებელი ინფორმაციის ან დოკუმენტის წარმოდგენა. სააგენტოს 3 აპრილის №02/879 წერილზე, პასუხად მომჩივანმა წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ბინის მესაკუთრედ დაფიქსირებულია მომჩივანი ვიქტორ სუროვინი.

ასევე, აღნიშნული წერილებით მომჩივანს ეთხოვა წარმოდგინა საჩივარში მითითებულ მისამართზე არსებული აპარტამენტის კომუნალური მომსახურების გაწევის ხელშეკრულების ასლი. თუმცა მომჩივანს არ წარმოუდგენია უშუალოდ მასსა და შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპს“ შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება, რომელიც შეეხება საჩივარში მითითებულ აპარტამენტში არსებულ საკუთრებაზე კომუნალური მომსახურების გაწევის საკითხებს.

მომჩივანის მიერ დამატებით მოწოდებული ინფორმაციის შესაბამისად, ახალ გუდაურში მდებარე №407-ე აპარტამენტი არის მის საკუთრებაში, რომელიც გაქირავებაში ჩაეშვა 2021 წლის დეკემბრის თვიდან. თუმცა, საჩივარში აღნიშნულია, რომ კომუნალური მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული პრობლემები დაიწყო 2020 წლის 6 მარტიდან.

მომჩივანმა დამატებით წარმოადგინა ინფორმაცია, რომლის მიხედვით მისი აპარტამენტისკენ მიმავალი მიღების ტექნიკური ლუქები გახსნა უცნობმა პირმა და გარკვეული ქმედებები განახორციელა რის შედეგადაც არ მიეწოდებოდა წყალი. მომჩივანმა საკუთარი სახსრებით შეძლო მიღების მთლიანობის აღდგენა.

მომჩივანი იშველიებს სამოქალაქო კოდექსის 387-ე მუხლს და განმარტავს, რომ 2023 წელს კომუნალური მომსახურების საფასურმა შეადგინა 12,435,42 ლარი, რაც არსებითად აღემატება ბინების სხვა მესაკუთრეთა მიერ გადახდილ თანხას, რითაც მისი პოზიციით მოპასუხე არღვევს „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებს.

## 1.2 მოპასუხის პოზიცია

სააგენტოს 2023 წლის 24 თებერვლის წერილით (რეგ. №02/441) საჩივარი თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად გადაეგზავნა მოპასუხედ დასახელებულ შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპს“.

მოპასუხე ეკონომიკურმა აგენტმა, 2023 წლის 31 მარტს (რეგ. N01/1075) სააგენტოში წარმოადგინა წერილობითი პოზიცია განსახილველ საჩივართან დაკავშირებით.

მოპასუხის პოზიციით, შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპი“ არ წარმოადგენს ახალი გუდაურის პროექტში გაზის, დენისა და წყლის მიმწოდებელ-გამანაწილებელ კომპანიას. მოპასუხეს ხელშეკრულება აქვს გაფორმებული მშენებელ კომპანიასთან, რომლის საფუძველზეც ორგანიზებას უწევს ზემოაღნიშნული სერვისების მიწოდებას და თანხის გადახდას მიმწოდებელ-გამანაწილებელ კომპანიებში. თავის მხრივ, შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპს“ ინდივიდუალური ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული აპარტამენტების მესაკუთრეებთან, რომელთა საფუძველზეც მესაკუთრე და კომპანია თანმხდებიან, რომ ცენტრალიზებული სერვისების ორგანიზებისათვის საჭიროა გადაიხადონ კონკრეტული გადასახადი, რომელიც თავის მხრივ ემსახურება

ცენტრალიზებული კომუნიკაციების დავალიანებების დაფარვას. აღნიშნული კი არ წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე დომინანტური მდგომარეობის არსებობის ფაქტს.

ამასთან, მოპასუხემ ხაზი გაუსვა, რომ მსგავს პროექტებში აპარტამენტების შეძენისას, ყველა მყიდველმა იცის და ინფორმირებულია, რომ გარკვეული სერვისები მიეწოდებათ ცენტრალიზებულად და სწორედ ამიტომაა ეს აპარტამენტები სასტუმროს ტიპის. ნასყიდობის ხელშეკრულებებში მითითებულია, რომ ნასყიდობის საგანი არის სასტუმროს ტიპის და კომუნალური მომსახურებები ექნებათ ცენტრალიზებულად, რის შემდგომაც მხარეებს შორის ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება ზემოხსენებული სერვისების მიწოდებაზე. შესაბამისად, მოპასუხის განმარტებით ეს იურიდიული ფაქტი, არა კონკურენციის, არამედ, პირიქით, მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებას ემსახურება.

მოპასუხე აღნიშნავს, რომ ახალი გუდაურის ყველა პროექტში მათ მიერ სრულყოფილად და შეუფერხებლად ხდება სერვისების მიწოდება ბინის მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. მიუხედავად ამისა, მესაკუთრეებს ყოველთვის აძლევენ შესაძლებლობას აირჩიონ სხვა სერვის კომპანია და მასთან გააფორმონ ხელშეკრულება. რისი დამადასტურებელიცაა კომპანიის მიერ მაცხოვრებლებისათვის გაგზავნილი წერილები ამხანაგობების შექმნის და სერვისების გამწევი კომპანიის მოქებნის შეთავაზებით. გამომდინარე იქიდან, რომ დღემდე მაცხოვრებლებს არ მოუმებნიათ მომსახურე სხვა კომპანია, მოპასუხე იძულებულია მესაკუთრეებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ფარგლებში გააგრძელონ სერვისების მიწოდება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპი“ არ ეთანხმება წარმოდგენილ საჩივარს. მოპასუხის პოზიციით საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და მის საფუძველზე არ უნდა დაიწყოს მოკვლევა.

### 1.3. დამატებითი ინფორმაცია

#### 1.3.1. შპს „რვრ-სკიმ“ (ს/ნ 405106157) პოზიცია

2023 წლის 26 აპრილის წერილით (რეგ. N01/1355) შპს „რვრ-სკიმ“ (ს/ნ 405106157) საკუთარი პოზიცია წარმოადგინა ინდ. მეწარმე ვიქტორ სუროგინის (ს/ნ 329326304) საჩივართან დაკავშირებით. მისი განმარტებით, შპს „რვრ-სკიმ“ ინდივიდუალური აბონირების მიზნით მიმართა საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიას და საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნულ კომისიას, თუმცა მიიღო უარი. აღნიშნული უარი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ შპს „რედ-კო მენეჯმენტ გრუპს“ უკავია დომინანტური მდგომარეობა შესაბამის ბაზარზე, რადგან შეუძლებელია საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასთან ინდივიდუალური ხელშეკრულების გაფორმება.

კომპანიის განმარტებით, წყლისა და გათბობის მიღები კორპუსიდან ბინების შესასვლელებამდე ეკუთვნის აპარტამენტების მესაკუთრეებს, თუმცა შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპი“ ბოროტად იყენებს მის ხელთ არსებულ დომინანტურ მდგომარეობას და უთიშავს წყალს მესაკუთრეებს, მაშინ, როდესაც საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მიერ წყლის მიწოდება უწყვეტად მიმდინარეობს. ამასთან, მოპასუხე კომპანია სასმელი წყლის გადაკეტვით მანიპულირებს და იძულებულს ხდის მესაკუთრეებს დათანმხდნენ შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპის“ პირობებს და მხოლოდ ამის შემდეგ ეძლევათ მესაკუთრეებს მიიღონ კომუნალური სერვისები.

შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, შპს „რვრ-სკი“ (ს/ნ 405106157) სერვისების უწყეტად და სამართალიან პირობებში მიღების გამოსავლად მიიჩნევს სემეკთან და საქართველოს გაერთიანებულ წყალმომარაგების კომპანიასთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად ახალი სისტემის გაყვანას, რაც წარმოუდგენლად დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

### 1.3.2. შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპის“ დამატებითი პოზიცია

შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპი“ 2023 წლის 23 მაისს წარმოდგენილ დამატებით პოზიციაში (რეგ. N01/1728) კვლავ აპელირებს იმ გარემოებაზე, რომ მყიდველების ინფორმირება ცენტრალიზებული სერვისების მიწოდების თაობაზე ხდება ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების გაფორმებისას. მყიდველს მიეწოდება ინფორმაცია, რომ ქონებაზე (სასტუმროს ნომერზე) რომელზეც საკუთრების უფლება უნდა გადაეცეს, კომუნალური მომსახურების სერვისებს როგორც მშენებლობის დასრულებამდე, ასევე დასრულების შემდეგ მიიღებს ცენტრალიზებული სახით.

მოპასუხის განმარტებით, შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპსა“ და მშენებელ კომპანიას შორის გაფორმებულია ხელშეკრულება უფლება-მოვალეობის გადაცემის თაობაზე. აღნიშნული ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ყველა უფლება - მოვალეობის (რომელიც მშენებელს წარმოეშვა და გააჩნია დუშეთის რაიონის სოფელ კაიშაურებში „მთა ვარცლაზე“ მდებარე სასტუმროს ტიპის მრავალბინიანი სახლებისა (ე.წ. აპარტომენტების, ბინების, კომერციული ფართებისა და ა.შ.) და მათთან დაკავშირებული სხვადასხვა ობიექტების მართვისა და მოვლა-პატრონობის განხორციელების პროცესში, მათ შორის კონკრეტული ფართების მესაკუთრეებთან ამავე მიზნობრიობით გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში) სრულად დათმობა შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპისთვის“.

აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე, შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპი ორგანიზებას უწევს კომუნალური სერვისების მიწოდებასა და თანხის გადახდას მიმწოდებელ-გამანაწილებელ კომპანიებში. თავის მხრივ, შპს „რედ-კო მენჯმენტ გრუპს“ ინდივიდუალური ხელშეკრულებები აქვს გაფორმებული აპარტამენტების მესაკუთრეებთან, რომლის ფარგლებშიც მესაკუთრე და კომპანია თანხმდებიან, რომ ცენტრალიზებული სერვისების ორგანიზებისათვის საჭიროა გადაიხადონ კონკრეტული

გადასახადი, რომელიც თავის მხრივ ემსახურება ცენტრალიზებული კომუნიკაციების დავალიანებების დაფარვას.

### 1.3.3. სხვა ინფორმაცია

დამატებით აღსანიშნავია, რომ სააგენტოს მიერ მოპოვებული ინფორმაციით, მომჩივანის მიერ დასახელებულ მრავალბინიან სასტუმროს ტიპის სახლში, სასტუმროს ტიპის სერვისების შეუფერხებელი მიწოდების მიზნით, ბინების მესაკუთრეებს (მათ შორის უშუალოდ მომჩივანსაც) აგრეთვე გაფორმებული აქვთ ხელშეკრულება ეკონომიკურ აგენტთან, შპს „ნიუ გუდაური რუმს“-თან (ს/ნ 441486802), რომლის მიხედვით, შპს „ნიუ გუდაური რუმსი“ მრავალჯერადად აწარმოებს საცხოვრებელი ფართის მომზადებას მესამე პირების მოკლევადიანი ცხოვრებისათვის. ფართის მომზადებაში იგულისხმება მისი დალაგება, განიავება, საწოლის თეთრეულის, პირსაცოხების გამოცვლა, განახლება და განთავსება აპარტამენტში და ა.შ.

## 2. ნორმატიული რეგულირება

### 2.1. მატერიალური ნაწილი

საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ზრუნავს თავისუფალი და ღია ეკონომიკის, თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებაზე.

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომში - „კანონი“) პირველი მუხლით, კანონის რეგულირების სფეროდ განისაზღვრება თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპების დადგენა, რაც, თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველია.

აღნიშნულის საფუძველზე, მე-2 მუხლით კონკრეტდება კანონის მიზანი: საქართველოში ბაზრის ლიბერალიზაციის, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის ხელშეწყობა.

კანონის მე-3 მუხლის „ი“ ქვეპუნქტი განმარტავს „დომინანტურ მდგომარეობას“. დომინანტური მდგომარეობა არის შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტის/ეკონომიკური აგენტების ისეთი მდგომარეობა, რომელიც მას/მათ საშუალებას აძლევს, იმოქმედოს/იმოქმედონ კონკურენტი ეკონომიკური აგენტებისგან, მიწოდებლებისგან, კლიენტებისა და საბოლოო მომხმარებლებისგან დამოუკიდებლად, არსებითი გავლენა მოახდინოს/მოახდინონ შესაბამის ბაზარზე საქონლის მიმოქცევის საერთო პირობებზე და შეზღუდოს/შეზღუდონ კონკურენცია. თუკი სხვა მტკიცებულებები არ არსებობს, ეკონომიკური აგენტი/ეკონომიკური აგენტები არ ჩაითვლება/არ ჩაითვლებიან დომინანტური მდგომარეობის მქონედ/მქონეებად, თუ შესაბამის ბაზარზე

მისი/მათი წილი 40 პროცენტს არ აღემატება. ორი ან ორზე მეტი ეკონომიკური აგენტიდან თითოეული ჩაითვლება დომინანტური მდგომარეობის მქონედ, თუ ისინი არ განიცდიან მნიშვნელოვან კონკურენციას განსახილველი ჯგუფის შიგნით და მის მიღმა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ეკონომიკური აგენტებისგან, ნედლეულის წყაროს და გასაღების ბაზრის შეზღუდული ხელმისაწვდომობის, შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერებისა და საბაზრო ძალაუფლების განმსაზღვრელი სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, ამასთანავე:

ა) არაუმეტეს 3 ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 50 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია;

ბ) არაუმეტეს 5 ყველაზე მნიშვნელოვანი წილის მქონე ეკონომიკური აგენტის ერთობლივი წილი 80 პროცენტს აღემატება, ამასთანავე, თითოეულის საბაზრო წილი არანაკლებ 15 პროცენტია.

კანონის მე-6 მუხლის თანახმად, კი, აკრძალულია დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება, ხოლო ასეთად შეიძლება ჩაითვალოს შემდეგი ქმედებები:

ა) შესყიდვის ან გაყიდვის არასამართლიანი ფასის ან სხვა არასამართლიანი სავაჭრო პირობების პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენა (ფიქსირება);

ბ) წარმოების, ბაზრის, ან ტექნოლოგიური განვითარების მომხმარებლების ინტერესების საზიანოდ შეზღუდვა;

გ) გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციაზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება;

დ) გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

კანონის მე-11<sup>3</sup> მუხლის თანახმად, არაკეთილსინდისიერი კონკურენცია დაუშვებელია. ხოლო არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევა ეკონომიკური აგენტის ისეთი ქმედება, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტისა და მომხმარებლის ინტერესებს, მაგალითად:

ა) კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით (მათ შორის, არასათანადო, არაკეთილსინდისიერი, არასარწმუნო ან აშკარად ყალბი რეკლამის მეშვეობით) საქონლის თაობაზე ისეთი ინფორმაციის გადაცემა, რომელიც მომხმარებელს არასწორ წარმოდგენას უქმნის და გარკვეული ეკონომიკური ქმედებისკენ უბიძგებს;

ბ) ეკონომიკური აგენტის მიერ მხარის შეცდომაში შესაყვანად გარიგების ნამდვილი მიზნის დამალვა და ამით კონკურენციაში უპირატესობის მოპოვება;

გ) ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შელახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

დ) კონკურენტის ან მესამე პირის საქონლის ფორმის, შეფუთვის ან გარეგნული იერსახის მითვისება;

ე) სამეცნიერო-ტექნიკური, საწარმოო ან სავაჭრო ინფორმაციის ან კომერციული საიდუმლოების მისი მფლობელის თანხმობის გარეშე მიღება, მოპოვება, გამოყენება ან გავრცელება;

ვ) შემსყიდველის, მიმწოდებლის, მისი თანამშრომლის ან გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოსყიდვა, რათა მან დამქირავებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედოს ან უგულებელყოს მომხმარებლის ინტერესები;

ზ) ბოიკოტისკენ მოწოდება.

## 2.2. პროცედურული ნაწილი

კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სააგენტოში საჩივრის წარდგენის უფლება აქვს მომჩივანს, რომელიც მხარედ განიხილება. მან სააგენტოში საჩივართან ერთად უნდა წარადგინოს მტკიცებულებები და მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი.

კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტო უფლებამოსილია განახორციელოს საქმის მოკვლევა წარდგენილი საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით. საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული „საჩივრის ფორმა, მისი წარდგენის წესი და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურების და ვადების“ (შემდგომში - პროცედურა) მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო საჩივრის მატერიალურ დასაშვებობას და მის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყების მიზანშეწონილობას შეისწავლის საჩივრის სრულყოფილი სახით რეგისტრაციიდან 30 სამუშაო დღის ვადაში. საქმის სირთულიდან გამომდინარე, ეს ვადა შეიძლება გაგრძელდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით. აღნიშნულ ვადაში სააგენტოს გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება: საჩივრის დასაშვებად ცნობის და საქმის მოკვლევის დაწყების შესახებ ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ.

პროცედურის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ზემოაღნიშნულ ვადაში (30 სამუშაო დღე, რომელიც შესაძლებელია გახანგრძლივდეს არაუმეტეს 15 სამუშაო დღით) სააგენტო შეისწავლის მხარეთა მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას, მტკიცებულებებს, დამატებით მოძიებულ ინფორმაციას და ახდენს მათ ურთიერთშეჯრებას. სააგენტო ასევე აანალიზებს, ხომ არ არსებობს საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის საფუძვლები გაწერილია კანონის 24-ე მუხლსა და პროცედურის მე-13 მუხლში.

საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ სააგენტოს გადაწყვეტილება საჩივრდება კანონის 33<sup>2</sup> მუხლით დადგენილი წესით, თბილისის საქალაქო სასამართლოში.

### 3. სამოტივაციო ნაწილი

#### 3.1. ზოგადი მიმოხილვა

პირველ რიგში, ხაზი უნდა გაესვას იმ ფაქტს, რომ სააგენტოსთვის მნიშვნელოვანია შეზღუდული ადმინისტრაციული რესურსების მობილიზება ისეთ საქმეებზე, სადაც მოკვლევის შედეგად მეტად სავარაუდოა სამართალდარღვევის დადგენა.<sup>1</sup> როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტო უფლებამოსილია, დაიწყოს საქმის მოკვლევა საჩივრის საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით.

აღსანიშნავია, რომ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის სავარაუდო დარღვევის შესახებ საჩივრის მიღების შემდგომ სააგენტო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში ამოწმებს საჩივრის ფორმალურ და მატერიალურ შესაბამისობას კონკურენციის კანონმდებლობასთან. ფორმალური შესაბამისობის დადგენა გულისხმობს იმის შემოწმებას, რამდენად სრულყოფილად არის შევსებული/წარმოდგენილი საჩივარი, ხოლო მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო იკვლევს, არსებობს თუ არა საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშობა თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე.

სააგენტო გადაწყვეტილებას საჩივრის დასაშვებად ცნობისა და საქმის მოკვლევის დაწყების ან საჩივრის დაუშვებლად ცნობისა და საქმის მოკვლევაზე უარის თქმის შესახებ იღებს ზემოთ აღნიშნული ფორმალური და მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებით საჩივრის ყოველმხრივი ანალიზის შედეგად.

შესაბამისად, მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე სააგენტო მოკვლევის დაწყების საფუძვლის შემოწმების მიზნით უფლებამოსილია მომჩივანისგან/მოპასუხისგან გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტი. აღნიშნული ინფორმაციის დამუშავების შედეგად, საბოლოოდ, ფასდება მომჩივანის/მოპასუხის მიერ წარმოდგენილი საპირწონე არგუმენტები და მტკიცებულებები, ისევე როგორც საჯარო წყაროებიდან მოპოვებული საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა წებისმიერი ინფორმაცია. საჭიროების შემთხვევაში, სააგენტოს, საქმის მოკვლევის დაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტამდე, ასევე შეუძლია გამოითხოვოს ინფორმაცია მესამე პირებისგან. აღნიშნული ღონისმიერების შედეგად თავმოყრილი ინფორმაციის კომპლექსური ანალიზის საფუძველზე კი სააგენტო

<sup>1</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2018 წლის 7 მაისის №04/113 გადაწყვეტილება („გორის ტაქსების საქმე II”), გვ. 10.

ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს და აღნიშნულის შესაბამისად მიიღება გადაწყვეტილება საჩივრის დასაშვებობისა თუ დაუშვებლობის შესახებ<sup>2</sup>.

შესაბამისად, როგორც აღინიშნა საქმის მოკვლევის დაწყების საფუძველია გონივრული ეჭვი კანონის შესაბამისი მუხლის დარღვევის შესახებ.

აღსანიშნავია ასევე ის ფაქტი, რომ საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობა არ შეიცავს გონივრული ეჭვის ცნების ლეგალურ დეფინიციას. დასაშვებობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში გონივრული ეჭვის განსაზღვრისას სააგენტო ხელმძღვანელობს ევროკომისიისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული საუკეთესო პრაქტიკით. ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ შეთანხმების (შემდგომში - „TFEU“) 101-ე და 102-ე მუხლების შესაბამისად პროცედურების წარმართვის საუკეთესო პრაქტიკის შესახებ ევროკომისიის ნოტა განმარტავს, რომ კონკურენციის სამართლის ყველა საქმე, მიუხედავად მათი დაწყების საფუძვლებისა, გადის პირველადი შეფასების ფაზას. ამ სტადიაზე კომისია ამოწმებს, თუ რამდენად არის მიზანშეწონილი საქმეზე შემდგომი მოკვლევის განხორციელება<sup>3</sup>. ასევე, პრაქტიკაში, პირველადი შეფასებების სისტემა ნიშნავს, რომ ზოგიერთი საქმე წყდება წარმოების ძალიან ადრეულ ეტაპზე, რადგან ამ საქმეებზე შემდგომი მოკვლევისა თუ შესწავლის განხორციელება არ არის გონივრული<sup>4</sup>. მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, კომისია აღჭურვილია უფლებამოსილებით, ევროპული კავშირის სამართლით მისთვის დაკისრებული ვალდებულებების გათვალისწინებით, დამოუკიდებლად განსაზღვროს მის წინაშე არსებული საჩივრებიდან, რომელ შემთხვევაშია მიზანშეწონილი და გონივრული საქმეზე შემდგომი მოკვლევის გაგრძელება<sup>5</sup>.

ი/მ ვიქტორ სუროგინის საჩივარში საუბარია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და 11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დარღვევებზე. შესაბამისად, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყება/არდაწყების თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად, საჭიროა ორივე მუხლთან მიმართებაში შეფასდეს არსებული პრეტენზიის დასაბუთებულობა და გონივრული ეჭვის წარმოშობის საკითხი.

<sup>2</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 10

<sup>3</sup> Commission notice on best practices for the conduct of proceedings concerning Articles 101 and 102 TFEU (ob. [http://ec.europa.eu/competition/consultations/2010\\_best\\_practices/best\\_practice\\_articles.pdf](http://ec.europa.eu/competition/consultations/2010_best_practices/best_practice_articles.pdf)), §11.

<sup>4</sup> იქ. § 12

<sup>5</sup> ECJ Case T-24/90, 18.09.1992, § 77. ob

- **შეფასება კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით**

ვინაიდან საჩივარი წარმოდგენილია კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, სააგენტო, საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე, მსჯელობს სწორედ ამ მუხლის ამ კონკრეტული შემადგენლობის დარღვევის გონივრულ ეჭვზე.

კანონის მე-6 მუხლის შესაბამისად, ერთი ან რამდენიმე ეკონომიკური აგენტის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დაუშვებელია. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად შეიძლება ჩაითვალოს გარკვეული სავაჭრო პარტნიორებისთვის იდენტურ ტრანზაქციებზე განსხვავებული პირობების დაწესება, რითაც ხდება მათი არაკონკურენტულ მდგომარეობაში ჩაყენება, ხოლო ამავე პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად აგრეთვე შეიძლება დაკვალიფიცირდეს გარიგების დასადებად მხარისთვის ისეთი დამატებითი პირობის დადგენა/ვალდებულების დაკისრება, რომელიც არც საგნობრივად და არც კომერციულად დაკავშირებული არ არის გარიგების საგანთან, და სხვა.

აღსანიშნავია, რომ დასაშვებობის ეტაპზე აუცილებელია არსებობდეს იმის გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა კანონის მე-6 მუხლის დისპოზიციაში. დასახელებული ნორმის დარღვევის გონივრული ეჭვი კი სახეზეა მაშინ, როდესაც არსებობს იმის ალბათობა, რომ ქმედება ხორციელდება დომინანტური მდგომარეობის მქონე ეკონომიკური აგენტის მიერ და ეს ქმედება წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე არსებული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას, ვინაიდან ხსენებული ნორმის დამრღვევი ვერ იქნება პირი, რომელიც არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას. აღნიშნულის ფონზე, გონივრული ეჭვი უნდა არსებობდეს ერთი მხრივ, დომინანტური მდგომარეობის ქონასა და მეორე მხრივ, ისეთი ქმედების განხორციელებასთან მიმართებაში, რომელიც შესაძლოა წარმოადგენდეს ამ მდგომარეობის ბოროტად გამოყენებას. ერთ-ერთი წინაპირობის არ არსებობის შემთხვევაში კი ბუნებრივია სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას, დაიწყოს საქმის მოკვლევა. ამდენად, იმისათვის, რომ დადგეს ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, საჭიროა მინიმუმ ორი ძირითადი პირობის კუმულატიურად არსებობა: ა) ეკონომიკური აგენტის დომინანტური მდგომარეობის არსებობა შესაბამის ბაზარზე და ბ) აღნიშნული დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება.

ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ასეთ დროს სააგენტოსათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს სადავო ქმედების შინაარსისა და დავის საგნის იდენტიფიცირება<sup>6</sup>.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ ეტაპზე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების ანალიზის საფუძველზე სააგენტოს მიზანშეწონილად მიაჩნია ყურადღება გაამახვილოს მხარეთა შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობებათა ჯაჭვზე, რადგან საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებები ნათლად მიუთითებს იმას, რომ მომჩივანი და მოპასუხე იმყოფიებიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში და შესაბამისად, მომჩივანის მიერ საჩივარში დასახელებული პრეტენზიები გამომდინარეობს სწორედ სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან, შემდეგ გარემოებათა გამო:

### **უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება**

2017 წლის 23 იანვარს მპს „რვრ-სკის“ (ს/კ: 405106157) და მომჩივან ვიქტორ სუროგინს შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის 1.1 პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების საგანი იყო დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაიშაურებში, „მთა ვარცლას“ მიმდებარედ ასაშენებელი სასტუმროს ტიპის მრავალბინიან სახლში ფართის (ს/კ: 71.62.58.019) ნასყიდობა. იმავე ხელშეკრულების 2.1. პუნქტით გამყიდველმა აიღო ვალდებულება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში მყიდველისათვის გადაეცა ნასყიდობის საგანი (ფართი) მათ შორის შემდეგ მდგომარეობაში: ა) წყლის, ელექტროენერგიის ინდივიდუალური მრიცხველი, ბ) გაზის საერთო მრიცხველი თანამესაკუთრეებთან, გ) ცენტრალური გათბობა გაშვებული, წყალი, ელექტროენერგია, კანალიზაცია და ინტერნეტი ხელმისაწვდომი გამოყენებისათვის.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილით, კანონმდებელმა კერძო სამართლის სუბიექტები აღჭურვა იმ უფლებამოსილებით, რომ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი.

შესაბამისად, მომჩივანი, როდესაც მოაწერა ხელი ბინის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას, შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში მშენებელ კომპანიასთან, მან გააკეთა აქცეპტი, რაც გულისხმობდა მშენებელი კომპანიის მიერ შეთავაზებული პირობების მიღებას - მათ შორის, იმ პირობისა, რომ ფართის გათბობა, განხორციელდებოდა ცენტრალური წესით და იქნებოდა გაზის საერთო მრიცხველი თანამესაკუთრეებთან. შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით მომჩივანისათვის წინასწარ ცნობილი იყო, რომ მის მიერ შეძენილ სასტუმროს ტიპის მრავალბინიან სახლში

<sup>6</sup> საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2021 წლის 09 აგვისტოს №04/121 გადაწყვეტილება („სადაზღვევო კომპანია უნისონის საქმე“) გვ. 12

**გარკვეული კომუნალური სერვისების მიწოდება განხორციელდებოდა ცენტრალიზებული წესით.**

### **უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება**

2019 წლის 04 ივნისს ზემოხსენებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, მხარეებს შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, სადაც ხელშეკრულების 1.2 პუნქტის მიხედვით ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ კაიშაურებში „მთა ვარცლას“ მიმდებარედ მრავალფუნქციურ კომპლექსში ბინის (ს/კ: 71.62.58.019) საკუთრებაში გადაცემა. ამავე ხელშეკრულების 3.2. თანახმად, მყიდველმა განაცხადა და მისცა გარანტია გამყიდველს, რომ გამყიდველმა სრულად შეასრულა წინარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და დაადასტურა, რომ გამყიდველის მიმართ არ აქვს არც ახლა და არც მომავალში უქნება რაიმე სახის პრეტენზია თუ მოთხოვნა.

შესაბამისად, სააგენტოს შეფასებით, მომჩივანი, ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, აგრეთვე აღიარებს „წინარე ხელშეკრულებით“ გათვალსწინებულ პირობებს და გამყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებას.

### **კომუნალური სერვისებით მომსახურების ხელშეკრულება**

საქმის მასალების ანალიზიდან გამომდინარე, უდავოდ დადგენილი გარემოებაა, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს ხელშეკრულება აქვს დადებული „ახალი გუდაურის“ პროექტში (სადაც ასევე მდებარეობს მომჩივანის საკუთრება), მშენებელ კომპანიასთან, რომლის საფუძველზეც ორგანიზებას (და არა უშუალოდ მიწოდება-განაწილებას) უწევს კომუნალური სერვისების ცენტრალიზებული სახით მიწოდებას და ასევე ახორციელებს აღნიშნული სერვისების ღირებულების გადახდას მიმწოდებელ-გამანაწილებელ კომპანიებში. საქმის გარემოებებიდან, ასევე დგინდება, რომ მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს ინდივიდუალური ხელშეკრულებები აქვს დადებული აპარტამენტის მესაკუთრეებთან. მართალია, მომჩივანს დღემდე არ გაუფორმებია წერილობითი ხელშეკრულება კომუნალური სერვისებით მოსმახურებაზე, მაგრამ მას კომუნალური სერვისები მიეწოდება, რაც მიუთითებს, იმაზე, რომ მხარეებს შორის დადებულია ზეპირი გარიგება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 69-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, გარიგება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. უდავოდ, დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ მომჩივანის მიერ პერიოდულად ხორციელდება მოპასუხისათვის გარკვეული თანხის გადახდა, რაც გულისხმობს ზემოხსენებული მომსახურების საფასურს ჩარიცხვას მოპასუხის საბანკო ანგარიშზე. შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ მხარეების მიერ ზემოხსენებული კომუნალური სერვისების გაწევაზე განხორციელებულია ნების გამოვლენა კონკლუდენტური მოქმედებით, რა დროსაც იგი

გამომდინარეობს ფაქტობრივად განხორციელებული მოქმედებითან<sup>7</sup>, კერძოდ, მომსახურების საფასურის ანგარიშსწორებით საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით და აღნიშნული ინფორმაციის მოპასუხისათვის მიწოდებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოქმედი კანონმდებლობა არ კრძალავს ზეპირი გარიგების დადების შესაძლებლობას, თანამედროვე ლიტერატურაში აღნიშნული ინსტიტუტი მოაზრებულია, როგორც ხელშეკრულების დადება ტექნიკური საშუალებით. მაგ. მოკლე ტექსტური შეტყობინებით, ელექტრონული ფოსტით, ფაქსით, დასკანირებული დოკუმენტების გაგზავნით და ა.შ. დადებული გარიგება უნდა ჩაითვალოს ზეპირად, ვინაიდან ამ დროს ვერ სრულდება წერილობითი ფორმის წინაპირობები, კერძოდ, არ არის სახეზე ხელმოწერა<sup>8</sup>. შესაბამისად, მხარეებს შორის ზეპირი გარიგების დადებისათვის საჭირო წინაპირობები, მოცემული საქმის მასალებზე დაყრდნობით, შეგვიძლია მივიჩნიოთ დაკავშირდებულად.

გარდა ამისა, მნიშნვნელოვანია აღინიშნოს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის პირველი ნაწილი, რომლის თანახმადაც, ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას. აღნიშნული ნორმა შეიცავს ისეთ დებულებას, რომლის მიხედვითაც, შესრულება ვალდებულების არსებობის პრეზუმაციას ქმნის, შესაბამისად თუ არ არსებობს ვალდებულება, არც შესრულება იქნება.<sup>9</sup>

ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კომუნალური მომსახურების გაწევაზე მხარეთა შორის დადებულია ზეპირი გარიგება, რა დროსაც სახეზეა მხარეთა მიერ კონკლუდენტური მოქმედებით გამოვლენილი ნება, რომელიც დადასტურებულია მექანიკური საშუალებებით (საბანკო გადარიცხვებით, მხარეთა კომუნიკაციებით), ხოლო მომზივანის მიერ განხორციელებული ტრანზაქციები მოპასუხის საბანკო ანგარიშზე გულისხმობს *inter alia* ვალდებულების არსებობის პრეზუმაციას.

სააგენტოს მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციით ცნობილი გახდა, რომ კომუნალური სერვისებით მომსახურების ხელშეკრულებები წარმოადგენს სტანდარტულ ხელშეკრულებებს, რომელიც ფორმდება აპარტამენტის მესაკუთრესთან (მაგ. სააგენტოში წარმოდგენილია ფიზ. პირს დ.ბ-ს და მოპასუხე ეკონომიკურ აგენტს შორის დადებული მომსახურების ხელშეკრულება), რა დროსაც ეს უკანასკნელი დამატებით ეთანხმება სერვისების ცენტრალიზებული სახით მიწოდებას და აღნიშნული მომსახურებების საფასურს. მომსახურების საფასურები კი, აგრეთვე საჯარო ტარიფების ცხრილის სახით არის განსაზღვრული მოპასუხე ეკონომიკური აგენტის მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა მომზივანის მიერ საჩივარში დასახელებული პრეტენზიები გამომდინარეობს სწორედ

<sup>7</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 2017 წ. (გვ. 309)

<sup>8</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 1, 2017 წ. (გვ. 394)

<sup>9</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 3, 2019 წ. (გვ. 357)

სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან, ხოლო სააგენტო ხელშეკრულების პირობების შესრულების ან შეუსრულებლობის საკითხზე ვერ იმსჯელებს იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ეს მოითხოვს იმგვარი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებას, რომელთა ანალიზის კომპეტენცია და უფლებამოსილებაც სააგენტოს არ გააჩნია. ამ შემთხვევაში, გამოდის, რომ სააგენტომ უნდა შეისწავლოს - ხელშეკრულების შინაარსი და მოახდინოს მხარეების მიერ განხორციელებული ქმედებების სუბსუმფცია ხელშეკრულების პირობებთან, კერძოდ რამდენად სწორად შესრულდა/სრულდება ისინი, რაც ცალსახად სცილდება როგორც კონკურენციის სააგენტოს უფლებამოსილებას, ასევე კონკურენციის კანონმდებლობის ფარგლებს და კანონის მე-6 მუხლის მოქმედების სფეროს.

დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს 2020 წლის 27 ნოემბრის №04/157 გადაწყვეტილებაში (2020 წლის 7 ოქტომბრის N01/487 საჩივრის საფუძველზე მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის შესახებ) ნამსჯელი აქვს მხარეთა მიერ მათი ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულების მიმართებაზე კონკურენციის კანონმდებლობასთან, სადაც სააგენტომ განმარტა: „მხარეთა მიერ მათი ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე გაფორმებული ხელშეკრულების შესრულებასა და გარკვეული ტერიტორიის დამუშავების შეუძლებლობა/შესაძლებლობის საკითხზე დავის გადაწყვეტასა და განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო ვერ იქნება სააგენტო, ვინაიდან დავის შინაარსს წარმოადგენს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების კონკრეტული ნორმების შესრულების საკითხი“.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის მე-6 მუხლთან მიმართებით საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტებს, კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და კონკურენციის კანონმდებლობის სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწონლად მიიჩნევს.

- შეფასება კანონის 11<sup>3</sup> მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებით

წარმოდგენილი საჩივრის მეორე ნაწილში, აგრეთვე საუბარია მოპასუხის მიერ კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე, კერძოდ, საჩივრის ავტორი საჩივარში მიუთითებს, რომ მოპასუხე ეკონომიკური აგენტის თანამშრომლის მიერ საუბრის მცდელობა მის კლიენტთან და ამის შემდგომ წყლის და გათბობის დემონსტრაციული გამორთვა წარმოადგენს მისთვის რეპუტაციის შელახვას, მის უსაფუძვლო კრიტიკას ან დისკრედიტაციას.

უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს შეფასებით კანონის 11<sup>3</sup> მუხლის სავარაუდო დარღვევასთან მიმართებითაც საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი

**მტკიცებულებებით ვერ ხერხდება საჩივრის მატერიალური დასაშვებობის სტანდარტის მოთხოვნების დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:**

საჩივრის ავტორი უთითებს კანონის 11<sup>3</sup> მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე. შესაბამისად, აღნიშნულ მუხლთან მიმართებაშიც, საჩივრის დასაშვებად ცნობისა და მოკვლევის დაწყებისთვის საჭიროა:

ა) კანონის 11<sup>3</sup> მუხლით დადგენილი პირობების ერთობლივად არსებობა;

ბ) გონივრული ეჭვის სტანდარტის დაკმაყოფილება.

ა) „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში - კანონი) 11<sup>3</sup> მუხლი კრძალავს არაკეთილსინდისიერ კონკურენციას და არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიიჩნევს ეკონომიკური აგენტის ისეთ ქმედებას, რომელიც ეწინააღმდეგება საქმიანი ეთიკის ნორმებს და ლახავს კონკურენტთა და მომხმარებელთა ინტერესებს. ამავდროულად, მუხლი განსაზღვრავს ქმედებების კონკრეტულ შემადგენლობებს. შესაბამისად, კანონის 11<sup>3</sup> მუხლის მიზნებისათვის, ეკონომიკური აგენტის ქმედების არაკეთილსინდისიერ კონკურენციად მიჩნევისათვის, საჭიროა შემდეგი პირობების ერთობლივად არსებობა:

- i. ქმედება
- ii. ქმედების საქმიანი ეთიკის ნორმების საწინააღმდეგო ხასიათი;
- iii. ქმედება უნდა ლახავდეს კონკურენტთა ინტერესებს;
- iv. ქმედება უნდა ლახავდეს მომხმარებლის ინტერესებს.

**ქმედება** - ეკონომიკური აგენტის მიერ კონკურენტის რეპუტაციის შეღახვა (საწარმოზე, პროდუქციაზე, სამეწარმეო საქმიანობასა და სავაჭრო საქმიანობაზე არასწორი წარმოდგენის შექმნა), მისი უსაფუძვლო კრიტიკა ან დისკრედიტაცია;

**წინააღმდეგობა საქმიანი ეთიკის ნორმებთან** - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი, ისევე როგორც, ზოგადად, ქართული კანონმდებლობა, არ განმარტავს, თუ კონკრეტულად რა მოიაზრება „საქმიანი ეთიკის ნორმებში“. თუმცა, საქართველოში კერძოსამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. სააგენტო აღნიშნავს, რომ საქმიანი ეთიკის ნორმები ირღვევა, როდესაც ეკონომიკური აგენტის ქცევა ეწინააღმდეგება კეთილსინდისიერების პრინციპს. ამავდროულად, სააგენტო აღნიშნულ კრიტერიუმს აფასებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში. როგორც საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტავს, ზოგადად, ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წეს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრინციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებულნი არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. კეთილსინდისიერების პრინციპი უმეტესწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. კეთილსინდისიერება

ნიშნავს გულწრფელობას, მიუკერძოებლობას, ობიექტურობას, სამართლიანობასა და სხვა<sup>10</sup>.

კონკურენტი ეკონომიკური აგენტების ინტერესების შეღახვა - კანონის მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, კონკურენტ ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევა შესაბამის ბაზარზე მოქმედი ან პოტენციური ეკონომიკური აგენტი, ხოლო იმავე მუხლის „დ“ ქვეპუნქტის მიხედვით, პოტენციური კონკურენტი ეკონომიკური აგენტი არის დაინტერესებული ეკონომიკური აგენტი, რომელსაც აქვს დასაბუთებული განზრახვა შესაბამის ბაზარზე შესასვლელად. შესაბამისად, კონკურენტი ეკონომიკური აგენტის ინტერესების შეღახვად ჩაითვლება ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით ზიანს აყენებს იმავე შესაბამის ბაზარზე ამჟამად მოქმედ ან პოტენციურ ეკონომიკურ აგენტს.

მომხმარებელთა ინტერესების შეღახვა - „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი არ იცნობს სპეციალურ ცნებას „მომხმარებელი“, თუმცა აღნიშნული ტერმინი განმარტებულია „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების დამტკიცების თაობაზე“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 იქტიმბრის №37 ბრძანებით დამტკიცებული მითითებების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტში. კერძოდ, მომხმარებელი არის პირი, რომელიც პირადი მოხმარების ან სამეწარმეო მიზნებისათვის იძენს საქონელს/მომსახურებას.

ბ) როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტო საჩივრის მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე ამოწმებს არსებობს თუ არა საქმის მოკვლევის დაწყებაზე უარის თქმის კანონმდებლობით განსაზღვრული საფუძვლები და წარმოიშვება თუ არა გონივრული ეჭვი სავარაუდო დარღვევის არსებობის თაობაზე. შესაბამისად, კანონის 11<sup>3</sup> მუხლის სავარაუდო დარღვევაზეც, მოკვლევის დასაწყების აუცილებელ პირობას წარმოადგენს გონივრული ეჭვის სამართლებრივი სტანდარტის დაკმაყოფილება. ყოველი კონკრეტული საჩივრის შემთხვევაში, საქმის მოკვლევის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ სააგენტოს ხელთ არსებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია აკმაყოფილებს ამ სტანდარტს.

სააგენტოში საჩივარს წარადგენს მომჩივანი, რომელიც ითვლება მხარედ და კონკურენციის მოქმედი კანონმდებლობით მასვე ეკისრება მტკიცების ტვირთი. შესაბამისად, მომჩივანი ვალდებულია საჩივარში მითითებული გარემოებების დასადასტურებლად წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები, რაც სააგენტოს შეფასებით, მითითებულ საჩივარში კანონის მე-6 მუხლის სავარაუდო დარღვევის მსგავსად, მოცემულ შემთხვევაშიც არ განხორციელებულა მომჩივანის მიერ.

სააგენტო ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მომჩივანის მიერ საჩივარში დასახელებული მოპასუხე ეკონომიკური აგენტის თანამშრომლის მიერ საუბრის მცდელობით მის კლიენტთან და ამის შემდგომ მისთვის წყლის და გათბობის დემონსტრაციული გამორთვით არ წარმოიშობა გონივრული ეჭვი კანონის 11<sup>3</sup> მუხლის

<sup>10</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმე №ს-1184-1145-2016, 17.02.2017.

სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, რადგან საჩივარსა და წარმოდგენილ მტკიცებულებებში *inter alia* არ იკვეთება მომხმარებელთა და კონკურენტთა ინტერესების შელახვა, ვინაიდან, სააგენტოს შეფასებით მოპასუხის თანამშრომლის მიერ საუბრის მცდელობით მის კლიენტთან ერთი მხრივ ვერ იქნება საჩივრის ავტორის ან მისი მომხმარებლების ინტერესები შელახული, ხოლო ამის შემდგომ წყლის და გათბობის გამორთვა, როგორც ქმედება მოქცეულია მხარეთა შორის არსებული სამოქალაქო-სამართლებრივი ფორმით დადგებული სახელშეკრულებო ურთიერთობების რეგულირების სფეროში, რომლის განხილვაც და შეფასებაც, როგორც უკვე ამავე გადაწყვეტილებაში, კანონის მე-6 მუხლის შეფასებისას აღინიშნა, სცილდება სააგენტოს კომპუტერციის ფარგლებს.

როგორც უკვე აღინიშნა, სააგენტოს, უფლება აქვს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი და მასში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები კონკურენციის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის გონივრული ეჭვის სამართლებრივ სტანდარტს. სააგენტო აღნიშნული მიზნით აფასებს საჩივარში მოცემულ ინფორმაციას და დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ითვალისწინებს საჩივრის დასაბუთებულობას. აღსანიშნავია, ასევე, ის ფაქტი, რომ საჩივრის დასაშვებობის საკითხის განხილვისას სააგენტო შებოჭილია ამ საჩივრის შინაარსით. მომჩივანს აქვს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენის ვალდებულებაც და მას ეკისრება საჩივრის დასაბუთებულობის ვალდებულება. დასაშვებობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას სააგენტო მხედველობაში იღებს მომჩივანისა და მოპასუხის მიერ წარმოდგენილ არგუმენტებსა და მტკიცებულებებს და მათი ყოველმხრივი ანალიზის ადგენს, აკმაყოფილებს თუ არა საჩივარი გონივრული ეჭვის სტანდარტს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე მოკვლევის დასაწყებად მატერიალური დასაშვებობის ეტაპზე უნდა არსებობდეს გონივრული ეჭვი, რომ საჩივარში მითითებული ქმედება ექცევა  $11^3$  მუხლის შემადგენლობაში. აღნიშნული გონივრული ეჭვის არსებობისთვის კი უმნიშვნელოვანესია საჩივარი იყოს დასაბუთებული და წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებდეს მასში მითითებულ გარემოებებს.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების ანალიზის შედეგად, სააგენტო მიიჩნევს, რომ კანონის  $11^3$  მუხლთან მიმართებითაც საჩივარი არ წარმოშობს გონივრულ ეჭვს კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის შესახებ, კერძოდ მომჩივანმა ვერ შეძლო დაეკმაყოფილებინა მტკიცების ტვირთი, რის გამოც საჩივარი ვერ აკმაყოფილებს კანონმდებლობით დადგენილ მატერიალური დასაშვებობის სტანდარტს. კერძოდ, არ არსებობს შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი და სავარაუდო დარღვევის გონივრული ეჭვი, რის გამოც, სააგენტო მოკვლევის დაწყებას მიზანშეუწოდად მიიჩნევს.


## სარეზოლუციო ნაწილი

„კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის 17<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების, 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, 24-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჩივრის ფორმის, მისი წარდგენის წესის და საჩივრის დასაშვებობასთან დაკავშირებული პროცედურისა და ვადების დამტკიცების თაობაზე“ სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის №38 ბრძანებით დამტკიცებული პროცედურის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, მე-13 მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

### სააგენტომ დაადგინა:

1. ი/მ ვიქტორ სუროგინის (ს/ნ: 329326304) 2023 წლის 21 თებერვლის №01/635 საჩივარი არ იქნეს დასაშვებად ცნობილი.
2. მომჩივანს უარი ეთქვას წარმოდგენილი საჩივრის საფუძველზე საქმის მოკვლევის დაწყებაზე.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).
4. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე



თავმჯდომარე

